ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელშეწყობას. ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივლისის N7 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

განსახილველი დადგენილებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება შესაბამისობაში არ მოდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის მე-4 ნაწილთან. კერძოდ, N1 დანართის ახალი რედაქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პირს, ვის მიმართაც საქართველოს კანონით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე არის გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი/შედგენილია საჯარიმო ქვითარი, მისი გამოტანიდან/შედგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია იგი გაასაჩივროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთან და შემდგომ სასამართლოში. წარდგენილ საჩივარს განიხილავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია. კომისიის მიერ საჩივრის განხილვის შედეგები, საჩივართან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარედგინება მერს.“ სპეციალური კანონის ზემოთ დასახელებული საკანონმდებლო ნორმა კი ამავე საკითხთან დაკავშირებით იმპერატიულად ადგენს, რომ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან)

გასაჩივრებისას საჩივარს ამ კოდექსის 290[6] მუხლის გათვალისწინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი. გარდა აღნიშნულისა, მოცემული მუხლი არ ითვალისწინებს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე გამოტანილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების მექანიზმს. განსახილველი დადგენილებით შეიცვალა N1 დანართის სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“. თუმცა შესაბამისი ცვლილება არ განხორციელებულა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილების პირველ მუხლში, რომლის მიხედვით არის დამტკიცებული N1 დანართი.

დადგენილების პროექტი შემუშავებულია წარმოდგენილი შენიშვების გათვალისწინებით.

აღნიშნული პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მიერ, ხოლო საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში მალხაზ წიქორია.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე